განხილულია სკოლა - ლიცეუმის
N4 პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე

14.06.2024

ვამტკიცებ: სკოლა - ლიცეუმის
დირექტორი

რ. ამირეჯიბი

# ნიკო ბაგრატიონის სკოლა - ლიცეუმის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. სასკოლო საზოგადოების წევრთა, პერსონალის უფლებების დაცვა.

## მუხლი 1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა წარმოადგენს თანმიმდევრულ სახელმძღვანელო მითითებებს და აცხადებს სკოლა - ლიცეუმის პოლიტიკას ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ასპექტებთან მიმართებით.

## მუხლი 2. დოკუმენტის შესახებ

1. სკოლა - ლიცეუმის (შემდგომში - დაწესებულება) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (შემდგომში - პოლიტიკა) შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად პოლიტიკებს.
2. დოკუმენტის განახლებასა და განახლებული დოკუმენტის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სკოლა - ლიცეუმის დირექცია, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვაზე.
3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლა - ლიცეუმის მისიას, ღირებულებებსა და მიზნებს.

## მუხლი 3. პოლიტიკის მიზანი და გამოყენების სფერო

1. პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

## მუხლი 4. პოლიტიკის ამოცანები

1. პოლიტიკის ამოცანებია:
1.1. დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა;
1.2. დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება;
1.3. დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

## მუხლი 5. ღირებულებები

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

1.1. დამსახურებებზე დაფუძნებული მიდგომა - ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება ხდება ყოველი ინდივიდის კომპეტენციაზე დაყრდნობით, სკოლა - ლიცეუმის და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურებ(ებ)ის გათვალისწინებით;

1.2. სამართლიანობა - ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღმა არსებობს სამართლიანი არგუმენტი და გადაწყვეტილების მიღების ობიექტური კრიტერიუმი;

1.3. თანასწორობა - ყველა თანამშრომლის მიმართ ვლინდება ერთგვაროვანი მიდგომა. დაუშვებელია გენდერული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით თანამშრომლების განსხვავება;

1.4. თანაბარი შესაძლებლობები - სკოლა - ლიცეუმის პერსონალს აქვს თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. სკოლა - ლიცეუმი მოქმედი შეფასების სისტემა არის სამართლიანი და გამჭვირვალე, ამავდროულად, დაცულია პირის კონფიდენციალურობა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი;

1.5. მიზანშეწონილობა - გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე;

1.6. გამჭვირვალობა - ადამიანური რესურსების მართვის ყველა ასპექტში დაწესებულება იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, ხოლო მართვის პროცედურები და რეგულაციები საჯაროა;
1.7. პროფესიული განვითარება - ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლა - ლიცეუმი მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;

1.8. მონაწილეობის პრინციპი - სკოლა - ლიცეუმი უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას;

1.9. ორიენტაცია ხარისხზე - სკოლა - ლიცეუმი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის სტანდარტების დახვეწის ხელშეწყობას.

## მუხლი 6. ადამიანური რესურსების მართვის ციკლი

1. ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლი მოიცავს ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას:

1.1. ორგანიზება/დაგეგმვა - აერთიანებს ორგანიზაციული განვითარების, საკადრო პოლიტიკის შემუშავებისა და თანამშრომელთათვის პერსონალის სამუშაო აღწერილობის შემუშავება/განახლების პროცესებს;

1.2. ორგანიზაციაში შემოსვლა - აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერჩევის და ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს;

1.3. სამუშაოს მართვა - აერთიანებს შეფასების, დისციპლინარული სასჯელისა და წახალისების პროცესებს;

1.4. ორგანიზაციიდან გასვლა - აერთიანებს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესებს.

6.2. სკოლა-ლიცეუმში დასაქმებულ პირთა ფუნქციები გაწერილია სკოლა-ლიცეუმის წესდებაში (დირექცია, ადმინისტრაცია, დამხმარე პერსონალი), სასწავლო აღმზრდელობით პროცესში მონაწილეთა - სკოლა - ლიცეუმის შინაგანაწესში. ტექნიკურ დახმარე პერსონალის - კონკრეტულ შრომით ხელშეკრულებაში.

შრომითი ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ ძირითად ინფორმაციას:
*დასაქმებულის პოზიციის დასახელება,
*ფუნქციები და პასუხისმგებლობები,
*სამუშაო პირობები (სამუშაო დრო, ანაზღაურება და ა.შ.),
*სასწავლო აღმზრდელობით პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია საკონკურსო პირობებში (იხ. თავი 6.4.).

6.3 კადრების მოზიდვა და შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ეყრდნობა ობიექტურობის და გამჭირვალობის პრინციპს.

**6.4. მასწავლებლის შერჩევა**

6.4.1. პირი მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება შიდა ან ღია კონკურსის საფუძველზე, ხოლო სპეციალური მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება ღია კონკურსის საფუძველზე.

6.4.2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:
6.4.3. ქმედუნარიან პირს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
6.4.3. 2015 წლის 1 იანვრამდე სერტიფიცირებულ პირს;

6.4.4. 2015 წლამდე მოქმედ მასწავლებელს.

6.4.5. მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა.

6.5.6. სკოლას უფლება აქვს ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარმოდგენა მოსთხოვოს როგორც მასწავლებლობის/სპეციალური მასწავლებლობის მსურველ კანდიდატს, ასევე პირს, რომელიც სკოლაში უნდა დასაქმდეს მოწვეულ ან/და შემცვლელ მასწავლებლად.

6.4.7. კანდიდატისადმი დადგენილია სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

6.4.8. სკოლაში დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

6.4.9. უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავროსამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით);

6.4.10. უნდა ჰქონდეს განათლების მიმართულებით მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

6.4.11. უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიარონ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი;

6.4.12. უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და უნდა ჰქონდეთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

6.4.13. უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

6.4.14. უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულებაში შემავალი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

6.4.15. სკოლაში საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთანავე, საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

- სრული ზოგადი განათლება;
- შესაბამისი სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი განათლება ანდა სასპორტო პროფესიული განათლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

6.4.16. მოწვეულ მასწავლებლობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;

6.4.17. შემცვლელ მასწავლებლობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და უნდა აკმაყოფილებდეს მოწვეული მასწავლებლისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

**მუხლი 7. კონკურსის გამოცხადება**

7.1. შიდა და ღია კონკურსი ცხადდება სკოლა - ლიცეუმში მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში.

7.2. ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო შიდა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ სკოლა - ლიცეუმში დასაქმებულ მასწავლებელს.

7.3. სკოლა - ლიცეუმის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, სკოლა - ლიცეუმი უფლებამოსილია, გამოაცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური.

7.4. სკოლა - ლიცეუმში მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში არსებული ვაკანტური პოზიცია შეივსება შიდა კონკურსის საფუძველზე.

7.5. შიდა კონკურსით მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის ვერ შევსების შემთხვევაში, სკოლა - ლიცეუმის დირექტორი უფლებამოსილია, გამოაცხადოს ღია კონკურსი.

7.6. სკოლა - ლიცეუმის დირექტორი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სკოლა - ლიცეუმში მასწავლებლის ვაკანტური პოზიცია შეავსოს შიდა კონკურსის გამოცხადების გარეშე, ღია კონკურსის მეშვეობით.

7.7. სკოლა - ლიცეუმში კონკურსის გამოცხადება ხდება სკოლა - ლიცეუმის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების საფუძველზე, რომლითაც, ასევე განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და სხვა.

7.8. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლა - ლიცეუმის მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას (სკოლა - ლიცეუმის საინფორმაციო დაფაზე განცხადება).

7.9. ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე კონკურსის განთავსების ვადები განისაზღვრება სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის საფუძველზე.

7.10. სკოლა - ლიცეუმი უფლებამოსილია ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია დამატებით განათავსოს სკოლა - ლიცეუმის ვებგვერდზე, ასევე შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ შესაბამის ვებგვერდებზე, სოციალურ ქსელებსა და ბეჭდვით ორგანოებში.

7.11. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

7.11.1. სკოლის დასახელებას;

- ღია კონკურსის წესით შესავსები მასწავლებლის ვაკანტური თანამდებობის დასახელებას და საგნის/კლასის მითითებას;
- კანდიდატის მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- ინფორმაციას სამუშაო საათების შესახებ;
- ინფორმაციას სავარაუდო შრომის ანაზღაურების შესახებ;
- შესაბამისი სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას;
- სამუშაოს დაწყების თარიღს;
- განცხადების წარდგენის ბოლო ვადას;
- სხვა ინფორმაციას სკოლის გადაწყვეტილებით.

7.12. განცხადებების წარდგენის ვადა განისაზღვრება სკოლიაა - ლიცეუმის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და შეადგენს არანაკლებ 5 კალენდარულ დღეს.

7.13. მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებლების სკოლა - ლიცეუმში დასაქმება ხდება კონკურსის გარეშე, დირექტორის გადაწყვეტილებით.

**მუხლი 8. კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა**

8.1. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად სკოლა - ლიცეუმის დირექტორის მიერ იქმნება შესაბამისი კომისია. კომისია უზრუნველყოფს სკოლა - ლიცეუმის დირექტორის მიერ განსაზღვრულ მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციებზე საუკეთესო კანდიდატთა შერჩევას.

8.2. კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას, მათ შორის კომისიის თავმჯდომარეს, განსაზღვრავს სკოლა - ლიცეუმის დირექტორი აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით, მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის სპეციფიკიდან გამომდინარე, არანაკლებ 5 წევრისა.

8.3. კანდიდატი ან მისი ახლო ნათესავი არ შეიძლება იყოს იმ კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შერჩევა. „ახლო ნათესავში“ იგულისხმება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

8.4. კომისიის წევრად განისაზღვრება დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი.

8.5. კომისიის თავმჯდომარე ამ კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ცვლის მას და კომისიის მდივანს, რომელიც ახორციელებს კონკურსთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და სხვა აუცილებელ ღონისძიებებს, სკოლა - ლიცეუმთან კოორდინირებულად.

8.6. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს სკოლა - ლიცეუმი.

8.7. კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. ამ შემთხვევაში, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ პოზიციაზე წარდგენილი სხვა კანდიდატის შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

8.8. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ზემოაზღნიშნული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

8.9. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

8.10. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

8.11. კომისია, ამ წესის შესაბამისად, აფასებს კანდიდატის შესაბამისობას მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიულ ცოდნასთან, უნარ-ჩვევებსა და კვალიფიკაციასთან.

8.12. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი კონკურსის ყველა ეტაპზე.

8.13. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების, გასაუბრების ან სხვა დავალების შედეგების, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შეფასებას.

8.14. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

**მუხლი 9. კონკურსის ეტაპები**

9.1. კონკურსის ეტაპებია:

- კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;
- შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება;
- კონკურსის შედეგების განსაზღვრა.

9.2. სკოლა - ლიცეუმის დირექტორი უფლებამოსილია კანდიდატის შეფასებისათვის, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კონკურსის ეტაპებთან ერთად განსაზღვროს დამატებითი ეტაპი.

*შენიშვნა: ეს შეიძლება იყოს მაგ.: საცდელი გაკვეთილი.*

9.3. კომისია მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნად სკოლა - ლიცეუმის დირექტორს წარუდგენს საუკეთესო კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

9.4. კომისია გადაწყვეტილების მიღებიდან ათი კალენდარული დღის ვადაში, თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობებს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

9.5. კონკურსის ეტაპების დასრულებისას დგება შესაბამისი ოქმი.

**მუხლი 10. შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა.**

10.1. დასაქმებულთან შრომითი ურთერთობის შეწყვეტის საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10.2. თუ სკოლა - ლიცეუმსა და მასწავლებელს შორის დადებული კონკრეტული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სკოლა - ლიცეუმსა და მასწავლებელს შორის შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხანგრძლივი შრომისუუნარობისას, თუ მასწავლებლის შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთან, თუ მასწავლებელს გამოყენებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული შვებულება.

10.3. მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

- მასწავლებლის სტატუსის შეწყვეტისას;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.4. მასწავლებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მასწავლებელი ვალდებულია სკოლა - ლიცეუმს აღნიშნულის შესახებ აცნობოს წერილობით 30 კალენდარული დღით ადრე. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

10.5. თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- შესაბამისი მოთხოვნა;
- შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;
- სამსახურებრივი დოკუმენტაციისა და მატერიალური საშუალებების გადაბარება;
- გათავისუფლებასთან დაკავშირებული საბოლოო ფინანსური ანგარიშსწორება;
- დამშვიდობება.

**მუხლი 11. პერსონალის შეფასების წესი.**

შეფასება უნდა იყოს გამჭირვალე, მკაფიო, ნათელი. მისი კრიტერიუმები ცნობილი უნდა იყოს პერსონალისთვის.

შენიშვნა: სასწავლო აღმზრდელობით პროცესში მონაწილეთა შეფასების კრიტერიუმები გაწერილია „სკოლა-ლიცეუმის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და ვერიფიკაციაში“, ადმინისტრაციის, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის - შესაბამის დებულებებში და ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებულ გაწერილ და ჩამოყალიბებულ ფუნქციებში და პასუხისმგებლობებში.

11.1. დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

11.2. შეფასების სისტემა ეფუძნება ზდასრულთა სწავლების კონცეფციას და ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

- პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნა;
- აქტიური მონაწილეობის წახალისება;
- გამოცდილებაზე დაყრდნობა;
- კოლაბორაციული კვლევა-ძიება;
- სწავლა მოქმედებისთვის.

**მუხლი 12. დისციპლინური სახდელები და მისი კომპონენტები**

12.1. სასწავლო აღმზრდელობით პროცესში დასაქმებულთა დისციპლინურ დარღვევათა აღწერა და დისციპლინური სახდელები ასახულია სკოლა -ლიცეუმის შინაგანაწესში (იხ. თავი „სასკოლო დისციპლინა).

12.2. დირექციის, ადმინისტრაციის წევრების, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის დისციპლინურ სახდელებს განსაზღვრავს სკოლა - ლიცეუმის დირექტორი მათთან დადებულ ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებულ ფუნქციებზე და პასუხისმგებლობებზე დაყრდნობით.

**მუხლი 13. სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლებების დაცვა.**

13.1. სკოლა - ლიცეუმში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრთა კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

- სკოლა - ლიცეუმს აქვს შინაგანაწესი
- დისციპლინური კომიტეტი
- სააპელაციო კომიტეტი
- პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოებაზე დაცვაზე პასუხისმგებელი პირი
- შრომის უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირი
- სკოლის ექიმი
- კლასებს ჰყავთ დამრიგებლები
- სკოლა - ლიცეუმს აქვს სასკოლო კურიკულუმი.

13.2. სასკოლო საზოგადოების წევრთა (პედაგოგები, მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები / მეურვეები) უფლებები გაწერილია სკოლა - ლიცეუმის შინაგანაწესის შესაბამის თავებში

(იხ. სკოლა - ლიცეუმის შინაგანაწესი, თავები „პედაგოგთა უფლებები, მოსწავლეთა უფლებები, მშობელთა უფლებები“ ).

13.3. სკოლა - ლიცეუმის დირექცია უზრუნველყოფს ამ უფლებების გაცნობას შრომითი ხელშეკრულების ხელმომწერი მხარისთვის შინაგანაწესის, (პედაგოგი, მოსწავლის მშობელი / მეურვე), ხოლო ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის - შესაბამის დებულებებში მოცემული უფლება - მოვალეობების გაცნობით.

13.4. სკოლა - ლიცეუმის ადმინისტრაცია სასწავლო წლის დასაწყისში ელექტრონულ ფორმატით კიდევ ერთხელ აცნობს მოსწავლის მშობელს / მეურვეს  სკოლა - ლიცეუმის შინაგანაწესის თავებს, რომელიც ასახვას მათ უფლებებს და მოვალეობებს.

13.5. კლასის დამრიგებლები ყოველი წლის დასაწყისში, ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით, აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესის მათთვის აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის უფლებებს და მოვალეობებს.

13.6. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მხრიდან ყოველი შესაძლო დარღვევი / გადაცდომის შემთხვევაში მოსწავლეებთან ატარებენ შესაბამის განმარტება/ აღმზრდელობით მუშაობას სკოლა - ლიცეუმის შინაგანაწესის შესაბამის თავებზე დაყრდნობით.

13.7. კლასის დამრიგებლებს ეძლევათ რეკომენდაცია საკლასო საათების ჩატარების დაგეგმვისას გაითვალისწინონ მოსწავლეთა უფლება - მოვალეობების გაცნობის შესაბამისი თემები.

13.8. სკოლა - ლიცეუმი მიმართავს შესაბამისი პროფესიის ადამიანებს (მათ შორის იურისტებს, უფლებების დამცვლეს, სამოქალაქო აქტივისტებს, სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს) და ორგანიზებას უწევს მათ შეხვედრებს მოსწავლეებთან.

13.9. სამოქალაქო განათლების ციკლში შემავალი საგნების პედაგოგებს ეძლევათ რეკომენდაცია წინ წამოსწიონ დასახელებული თემები, დაგეგმონ კომპლექსური სამუშაოები ამ თემებზე (მაგ.: იმიტირებულ სიტუაციები, იმიტირებული სასამართლო პროცესები და სხვ.).

**მუხლი 14. სკოლა - ლიცეუმის სასკოლო საზოგადოების და პერსონალის უფლებების დარღვევების გასაჩივრება.**

14.1**.** სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვთ უფლება გაასაჩივრონ მათი კანონიერი უფლებების დარღვევები (იხ. დანართი „გასაჩივრების ფორმები“).

14.2. სკოლა - ლიცეუმის ბაზაზე სტრუქტურული ერთეულები / პირები, სადაც შეიძლება გასაჩივრდეს უფლებების დარღვევა არის:

- სკოლა ლიცეუმის მართვის უმაღლესი ორგანო (ნიკო ბაგრატიონის კავშირის საბჭო),
- სკოლა - ლიცეუმის დირექტორი, რომელიც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, საქმეს გადასცემს დისციპლინურ კომიტეტს
- სკოლა - ლიცეუმის სააპელაციო კომიტეტი.

14.3. სკოლა - ლიცეუმის ბაზაზე უფლებათა დაცვის გასაჩივრების პროცედურა გაწერილია სკოლა - ლიცეუმის შინაგანაწესში (იხ. თავი „სასკოლო დისციპლინა“).

**მუხლი 15. სკოლა - ლიცეუმის გარეთ მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის ან სკოლის დანარჩენი პერსონალის  კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება**

15.1. იმ შემთხვევაში თუ სკოლია - ლიცეუმის დირექტორის მიერ მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია _____ რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლა - ლიცეუმის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ;

15.2. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მენიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცეტრის უკანონო ქმედების ან უმოქმედობის შესახებ;

15.3. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლა - ლიცეუმის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ.

15.4. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.